

საქართველოს ორგანული კანონი

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1996 წელი, №13, გვ. 12) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 15.

დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებსა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში მყოფ პირთა მიერ საქართველოს სახალხო დამცველისათვის გაგზავნილი განცხადებები, საჩივრები და წერილები კონფიდენციალურია, მათი გახსნა და ცენზურა აკრძალულია; ისინი დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს საქართველოს სახალხო დამცველს.”.

2. მე-18 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დაუბრკოლებლად შევიდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში, საწარმოში, ორგანიზაციაში და დაწესებულებაში, მათ შორის სამხედრო ქვედანაყოფში, დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებსა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში.”.

3. მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 19.

საქართველოს სახალხო დამცველი ამოწმებს დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებსა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას. პირადად ხვდება და ესაუბრება დაკავებულებს, წინასწარ პატიმრობაში მყოფთ და მსჯავრდებულებს; ამოწმებს

აღნიშნულ დაწესებულებაში მათი ყოფნის დამადასტურებელ
დოკუმენტაციას.”.

მუხლი 2. ეს ორგანული კანონი ამოქმედდეს 2007 წლის
პირველი აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი
სააკაშვილი

მიხეილ